აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
Academic Board of Akaki
Tsereteli State University

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

8 ოქტომბერი, 2018

დადგენილება № 4 (18/19)
სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების თაობაზე

სსიპ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N132/ნ ბრძანების 29-ე მუხლის შესაბამისად და სსიპ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ საარჩევნო კოდექსის შესაბამისად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. გამოცხადდეს არჩევნები სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად.

2. არჩევნები ჩატარდეს 2018 წლის 2 ნოემბერს.

3. კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს 20 დღის განმავლობაში. რეგისტრაცია დაიწყოს 2018 წლის 10 ოქტომბერს და დასრულდეს 2018 წლის 30 ოქტომბერს 16.00 საათზე.

4. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ უზრუნველყოს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების ორგანიზებულად ჩატარება.

5. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №59, პირველი კორპუსი, ოთახი №1138, 12.00 სთ-დან 16.00 სთ-მდე.

6. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩევის მსურველებმა საარჩევნო კომისიაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

ა) განცხადება საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სახელზე;

ბ) ბიოგრაფიული მონაცემები (CV)

გ) სამოქმედო გეგმა

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი

7. დადგენილება საჯარო გაცნობის მიზნით გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას, განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და გამოქვეყნდეს გაზეთ „ქუთაისის უნივერსიტეტში“.

8. დადგენილების განთავსება თვალსაჩინო ადგილას (მათ შორის ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებზე) დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

9. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს.

10. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

უნივერსიტეტის რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე